ინდივიდის ობსესიურ-კომპულსური ტენდენციების პრედიქტორები და მოდერატორები

თინა სოლომონია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ია შეყრილაძე

ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

15/06/2023

სარჩევი

აბსტრაქტი---------- გვ. iii

შესავალი ---------- გვ. 1

მეთოდი ---------- გვ.11

შედეგები ---------- გვ. 14

მონაცემთა განხილვა---------- გვ. 25

დასკვნა ---------- გვ. 29

გამოყენებული ლიტერატურა---------- გვ.33

დანართი ---------- გვ.40

აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომის მიზანი ინდივიდის ობსესიურ-კომპულსურ ტენდენციებთან დაკავშირებული პრედიქტორების და მოდერატორების კვლევა იყო. ობსესიურ-კომპულსური აშლილობის (ოკა-ს) ტენდენციებთან ერთად საკვლევი ცვლადები იყო: (1) გაურკვევლობის მიუღებლობა, (2) კონტროლის სურვილი და (3) პიროვნული შფოთვა. ჩამოყალიბებული ჰიპოთეზების მიხედვით, ოკა-ს ტენდენციების დადებითი პრედიქტორები პიროვნული შფოთვა და კონტროლის სურვილი უნდა ყოფილიყო. პიროვნული შფოთვა ასევე განიხილებოდა, როგორც გაურკვევლობის მიუღებლობის დადებითი პრედიქტორი. ასევე, ერთ-ერთი ჰიპოთეზის მიხედვით გაურკვევლობის მიუღებლობის ეფექტი ობსესიურ-კომპულსურ ტენდენციებზე კონტროლის სურვილის მიერ უნდა ყოფილიყო მოდერირებული. ჩატარებული კორელაციური და რეგრესიული ანალიზის შედეგად დადასტურდა ჰიპოთეზები პიროვნულ შფოთვასა და ოკა-ს ტენდენციებს შორის კავშირის და ასევე, პიროვნულ შფოთვასა და გაურკვევლობის მიუღებლობას შორის კავშირის შესახებ. გარდა ამისა, გამოვლინდა დადებითი კორელაცია გაურკვევლობის მიუღებლობასა და ოკა-ს ტენდენციებს შორის. კონტროლის სურვილი არ კორელირებდა არცერთ საკვლევ ცვლადთან, შესაბამისად არ დადასტურებულა ჰიპოთეზა კონტროლის სურვილსა და ოკა-ს ტენდენციებს შორის კავშირის შესახებ, ასევე არ დადასტურდა არც მოდერაციული ჰიპოთეზა. ოკა-ს ტენდენციებს, პიროვნულ შფოთვასა და გაურკვევლობის მიუღებლობის შორის გამოვლენილი კავშირები გარკვეულ შესაბამისობაშია სხვა ემპირიული კვლევებთან. გამოვლენილი შედეგები შესაძლოა სხვადასხვა ფაქტორებიდან გამომდინარე აიხსნას. კონტროლის სურვილთან დაკავშირებული შედეგები ბადებს კითხვებს ამ ცვლადის როლის შესახებ ობსესიურ-კომპულსურ სიმპტომატიკაში. სავარაუდოდ, მომავალში საჭირო იქნება ამ საკითხის უფრო სიღრმისეულად გამოკვლევა.

მთავარი საძიებო სიტყვები: შფოთვა, ობსესიურ-კომპულსური აშლილობა, გაურკვევლობის მიუღებლობა, კონტროლის სურვილი, პიროვნული შფოთვა.

Abstract

The purpose of the following research was to study the predictors and moderates associated with Obsessive-Compulsive (OC) tendencies. Apart from OC tendencies, the research variables were: (i) Intolerance of Uncertainty, (ii) Desirability of Control and (iii) Trait Anxiety. It was hypothesized that Trait Anxiety and Desirability of Control would positively predict OC tendencies. Trait anxiety was also considered as a potential positive predictor of Tolerance of Uncertainty and according to one of the hypotheses Desirability for Control would be the moderator variable for the effect of Tolerance of Uncertainty on Obsessive-Compulsive tendencies. Correlation and Regression analyses conducted showed that Trait Anxiety did indeed positively predict OC tendencies, Trait anxiety was significantly associated with Intolerance for Uncertainty. Besides this, a positive correlation between Intolerance for Uncertainty and OC tendencies was also displayed. The study failed to find any evidence of the Desirability for Control variable showing significant correlations with other variables, accordingly, the hypothesis about Desirability for Control and OC tendencies has been disproven, the moderational effect of Desirability for Control was also not evident in this study. The proven associations between OC tendencies, Trait anxiety and Intolerance of Uncertainty are in accordance with the findings of some previous empirical studies. These findings raise questions about the role of Desirability of Control in OC symptomatology, further research may be needed in the future.

Key Words: Anxiety, Obssesive-Compulsive Disorder, Intolerance of Uncertainty, Desirability for Control, Trait Anxiety.

მადლობა

უპირველესად, მსურს მადლობა გადავუხადო ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ია შეყრილაძეს, დახმარებისთვის, თანადგომისთვისა და აქტიური ჩართულობისთვის. ასევე, მსურს მადლობა გადავუხადო ჩემს ლექტორებს, კურსელებსა და მეგობრებს თანადგომისთვისა და დახმარებისთვის.

და ბოლოს, ვუხდი უღრმეს მადლობას ჩემი კვლევის მონაწილეებს კითხვარის შევსებისთვისა და დროის დათმობისთვის. მათი დამსახურების გარეშე კვლევის ჩატარება და განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა.